წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 30 მაისი 1915 წ. № 6

# საქართველო

ხელისმოწერა და ფასიანი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76,

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., საგანგებო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე,) და ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევამდე ღირს ხ მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ამნაირად: პირველ ოქტომბრამდე ჳ მანეთი და შემდეგ ორი მანეთი. ჟურნალ „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც გადახდილი აქვთ მთელი წლისა (5 მან.) „საქართველო“ გაეგზავნებათ **მხოლოდ** პირველ მკათათვემდე. „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სამს მანეთამდის აქვს შემოტანილი, „საქართველოს“ მხოლოდ პირველი ნომერი გაეგზავნებათ.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ახალი კლუბის“ თამასახლის. საბჭო

აცხადებს, რომ 1 ივლისისათვის დანიშნული კლუბის გადასვლა საზაფხულო შენობაში **არ მოხდება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ფლიგელ-ადიუტანტის თ-დ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ბაგრატიონ მუხრან-ბატონის დაკრძალვის გამო.**

კლუბის საზაფხულო შენობაში გადასვლის დღე ცალკე გამოცხადდება.

თბილისის ხელოსანთა **კლუბი** (მიხაილოვის პროსპექტზე)

**კვირის 31 მაისს, დილის 12** საათზე ქართული დრამატიული დასის სუფლიორის **ბ. ბეგლარიძის** მიერ გამართული იქნება:

## ხელოსან მწერალთა სალიტერატურო

## დილა

ლექციით და საკონცერტო განყოფილებით.

I.

**ლექცია—იოსებ დავითაშვილი,** როგორც შრომის მოციქული და ხელოსანი პოეტი.

II.

**ხელოსანი მწერლები** წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებს: ი. გარსევანიშვილი, გ. შინატეხელი, ლ. მაისურაძე, ნ. ნოშრევანიძე, ა. განჯის-კარელი, რ. ჯიბლაძე, ს. ერთაწმინდელი, მ. ველისციხელი, ბ. ახოსპირელი და გ. ქუჩიშვილი.

III.

**საკონცერტო განყოფილება:** თარი, სიმღერები და სახუმარო სცენები.

**დასაწყისი დილის 12 საათზე**

ადგილების ფასი 10 კ. 30 კ-მდე. 2—1 გამგე **ბ. ბეგლარიძე.**

## სახალხო სახლი

**შაბათს, 30 მაისს, 1915 წ.**

## ნინო ჩხეიძის

წარმოდგენა

## ჯიოკონდა

ტრაგედია 4 მოქ. თარგმ. პ. დადვაძისა.

მონაწილეობენ: ნ, ჩხეიძე, ა. ქიქოძე, ნ. გამრეკელი-თორელი, ნ. თოიძე, მედეა, ქორელი, ა. იმედაშვილი, პ. კორიშელი, მ. ჭიაურელი.

**სილვიას** როლს შეასრულებს **ნ. ჩხეიძე**

**ლიუჩიოს** როლს „ **ა. იმედაშვილი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

ადგილების ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-მდე

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

რეჟისორი **მ. ქორელი.** 3—3

## თელავი

**ოთხშაბათს, 3 ივნისს,** თელავის საკრებულოს დარბაზში **ს. ფაშალიშვილის** თაოსნობით გაიმართება **სალიტერატურო სამუსიკო**

## საღამო-მეჯლისი

სამს განყოფილებად.

1) ლექცია,
2) წარმოდგენა,
3) სიმღერა, დეკლამაცია, შარჟები, თარი, სცენები.

მონაწილეობას მიიღებენ: კიტა აბაშიძე, ოსიკო ბარათაშვილი, ს. ფაშალიშვილი, მსახიობნი ნინო დავითაშვილი, მ. ჭიაურელი, ი. შაშიანელი, ი. სადირაშვილი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თელავში, ქ. შ. წ. კ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ნინო გოგოლაძესთან.

საღამოს დიასახლისობს **კნეინა ელენე ივანეს ასული ჭავჭავაძისა.** (3—6—3)

## ილ. ჭავჭავაძის

**სრული კრებული ხელის მოწერით ღირს ორი მანეთი. მთელი შემოსავალი** მგოსანს გადაეცემა.

„საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) მიიღება ხელის მოწერა.

—უ—

კბილის ექიმი ქალი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღ. 5—6 საათამდე, კვირა დღის გარდა. ოლღას ქუჩა, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

თიბათვის შუა რიცხვებიდან ღვინობისთვის ნახევრამდე

ქირავდება **ერთი ან ორი**

## ოთახი

შეიძლება მოწყობილობითაც. ფასანაურის ქუჩა № 11. 3—1

## თბილისი, 30 მაისი

**ნაღრძობი ტვინი.**

გონების კადნიერება სა[illegible]ა. იგი მშობელის გამკითხავი გ[illegible]დის. უფლებაც მიინიჭა ისკეპტიკოს [illegible] იბჭოს მასზედ, რამდენიც ეპრიანება.

სურს იწამებს, სურს—ა[illegible] სიკვდილის განჩინება, თუ შეწყალება [illegible]ივე გონებაზე ჰკიდია.

შეიძლება ფასუთქმელი [illegible]ავი დაედოს, შეიძლება უარესი შე[illegible]ოს. სადღეისო შედარება რომ გვე[illegible] ვიტყოდით გონება ნაღმიაო. ნა[illegible] მხსნელია. თუ მტრის დრედნოუტ[illegible] დააკვეთე, დამღუპველია; საკუთარი [illegible] გონებაც ასეა. ცხადია, მისი სწ[illegible] გამართვა თავი და თავი საქმე ყო[illegible]ლა. ვიდრე დაუწერელია და გამოუთქ[illegible]ლი, გონება დაკარგულია ქვეყნისთვის. არც თუ საშიშოა. ამ უარსო ყოფაში იგი უპიროვნო სახეობაა და წარმოადგენს საყოველთაო დაფარულ პონტ[illegible] ღირებულებას.

ეს პარადოქსი არ გახლავთ.

გამოთქმული, იგი სნეულებული რეალობაა და ამ არსულ ყოფაში, გონებას მხოლოდ ერთი, იმანენტურად თანდაყოლილი სახე ეძლევა,—ეროვნული. მხოლოდ ერთი გარკვეული ღირებულება,—**ეროვნული.**

მისი სარბიელი შემოვლებულია ერთი ერის სამკვიდრებელის ბუნებრივი საზღვრებით. აზრი, ეს უნივთო რამ, ძთაღელეების ნარნარი ნესტან-დარეჯანია.

გინდა არ გინდა ეს ასეა. და ეს ხდება წინასწარად; ჩვენი ნებისყოფის არც წინააღმდეგ, არც სურვილისაებრ, არამედ მის გარეშე! იგი ერის საკუთრებაა და იმდენად საამაყო და თავმოსაწონი, რამდენადაც ეს გამოთქმული გონება—აზრი—ქვევით ღრმაა, ზევით მაღალი და სივრცეში მტკიცე. ვამბობთ, ერის საკუთრებაა და არა დამწერისა, რადგანაც აზრი რომ ვისიმე საკუთრებად გადაიქცეს ენაა საჭირო. ხოლო ენა-სოციალი, ამ შემთხვევაში, **ეროვნული** ღირებულებაა. დამწერს მხოლოდ სტილი ეკუთვნის.

თარგმნილი,—სხვა ერის თავისუფალ სახმარად გადაიქცევა. მისად ხდება.

მაშ, გონების გამოცხადება ამ ქვეყნად, იმ თავითვე, წინადროულად ყოფილა შეხორცებული განსაზღვრული ერის სხეულთან. თუ თავისთავად, გონება არც არაფერია, სამაგიეროდ გამოცხადებული ფორმა-მიღებული, იგი ძალაა, ძალა ხან ამშენებელი, ხანაც დამღუპველი, გარემოების მიხედვით.

მწუხარ მოგონების ახლო წარსულში ქართულმა გონებამ მტრის ნაღმის როლი ითამაშა. საერთო კერძოს დიუმორჩილა, უნივერსიული საპარტიოს და გარდამავალი გარდუვალს. სწვდა საკუთარ თავგამოცხადების ერთად ერთ პირობას. ვერ შეეგნო ამ პირობის გაქრობა, რომ საკუთარი თავის აღგვასაც მოასწავებდა. მისგან აჩემებული დევნა ეროვნული იდეისა, მისივე სიკვდილით უნდა დამთავრებულიყო! მაგრამ ეროვნული სინამდვილე იდგა მტკიცე და ურყევი. ეროვნულ სინამდვილეს უნდა დაეძლია ეპიზოდიურად წარმოშობილი თაობა, რომელიც ეროვნული იდეის სამტროდ იყო აღძრული. და რომელიც სწრაფ გადამრბენი ტალღად სჩქეფდა ერის ცხოვრების მარადისობაში.

ასეთ ძნელ დროს, ჩვენდა საბედნიეროდ, მსოფლიო ომმაც წამოგვასწრო და გამოფხილების ჩაქუჩი ჩაგვცა. ცნობილია ფიზიოლოგიურ ფსიხოლოგიაში ერთი საგულისხმიერო ფაქტი: რეგვენად შობილი გამოარკვია შემთხვევით თავში დარტყმულმა კეტმა. ჩვენც გონს მოვედით. თუმც ეს გამოფხიზლება კაცობრიობას ძვირად დაუჯდა: ოკეანე სისხლი და კაცთა გვამების ჰიმალაი შევსწირეთ. ძნელი იყო უამისოდ ჩვენი ნაღრძობი ტვინის გამოსწორება და ეს დიდის მსხვერპლით გამოსწორებული ტვინი გახდება ის იარაღი, რომელმაც ჩვენი მომავალი უნდა დაიპყროს.

## ხვალინდელი კრების გამო

ხვალ თბილისის ქართულ გიმნაზიაში დანიშნულია „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა“ საზოგადოების კრება, რომელსაც უნდა მოხსენდეს ქართული გიმნაზიის 1914 წლის ანგარიში და სხვა მიმდინარე საქმეები.

წრევანდელს კრებას ბევრი საგულისხმიერო და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. საზოგადოთ ჩვენს ცხოვრებაში. სასკოლო საკითხი ერთი უმწვავესი საკითხია და მისი რიგიანად გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება ერთი ნაბიჯის მაინც წინ გადადგმას მოასწავებს.

ჩვენ გვაქვს 1914 წლის ანგარიში თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტისა. ამ ანგარიშში, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „პროგრამა გიმნაზიისა სრულიად ეთანხმება სამინისტროს გიმნაზიის პროგრამასო“ (გვ. 55). ჩვენი აზრით [illegible] სწავლებელი პროგრამითაც კი ჰბაძავს სახელმწიფო სასწავლებელს, რომლის დახავსებულსა და ტენდენციურს პროგრამაში ბევრი ისეთი რამ არის, რომლის არ ცოდნა არ ცოდვად ჩაეთვლებათ თვით რუსის ბავშვებსაც კი, რადგანაც ბევრი უხეირო მასალა არამც თუ სასარგებლო, პირდაპირ მავნებელიც არის ყმაწვილის გონებისათვის. კერძო სასწავლებლებს კი კანონითაც უფლება აქვთ ამა თუ იმ ცვლილების შეტანისა, პროგრამების გაცხრილვისა და ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და ყველა ის მაგალითად არ დავისახოთ, რაც სახელმწიფო გიმნაზიებში კეთდება. პირიქით, კერძო გიმნაზიები უნდა წარმოადგენდეს პედაგოგიურის მოწყობილობით მაგალითს მთავრობის გიმნაზიებისათვის.

ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც დღევანდელს კრებას უნდა მოხსენდეს, არის ჩვენს გიმნაზიაში ქართულად საგნების სწავლების შემოღება თანახმად 1914 წლის პირველ ივლისის კანონისა. დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი საზოგადოება ამ საკითხს აღტაცებით მიეგებება და ხელს შეუწყობს მის განხორციელებასაც.

რასაკვირველია დედა ენის საშუალებით საგნების სწავლება ერთად-ერთი უტყუარი სახსარია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ასცდეს სულით გადაგვარების გზას და უფრო შეგნებით და სიმტკიცით შეიძინოს ამა თუ იმ საგნის ცოდნა. მაგრამ დედა ენაზე სწავლებასთან მჭიდრო კავშირი აქვს სახელმძღვანელოების საკითხსაც. თუ დღემდის არა გვიზრუნვია და არა გაგვიკეთებია რა ამის შესახებ, რაც დანაშაულობად უნდა ჩაგვეთვალოს, დღეს მაინც გაორკეცებულის ენერგიით უნდა შევუდგეთ კოლექტიურს მუშაობას, თანდათან დავამზადოთ ყოველგვარი სახელმძღვანელოები, რაც კი საჭიროა საშუალო სკოლისათვის. ამისათვის საჭირო იქნება შესდგეს ყოველ დარგში მომზადებულ და მცოდნე პირთა კომისიები, რომელთაც უნდა მიენდოს უცხო ენიდან თარგმნა, შედგენა და ჩვენ ცხოვრებასთან შეფარდება ამა თუ იმ სახელმძღვანელოებისა.

რაც შეეხება რუსული ლიტერატურის, სიტყვიერების, ისტორიისა და გეოგრაფიის რუსულად სწავლებას, რაც კანონით სავალდებულოა კერძო სასწავლებელთათვის, აქაც საჭიროა არსებული პროგრამების გაცხრილვა და მრავალი ბალასტის ჩამოშორება. ამ სახით ჩვენს მომავალ განახლებულს ქართულს გიმნაზიაში საჭირო იქნება ყველა საგნის პროგრამის განახლებაც, მათი ჩვენ ცხოვრებასთან შეგუება ისე, რომ სკოლას ძირითად კანონად მეცნიერება ჰქონდეს და ხელმძღვანელობას უწევდეს ცხოვრებას მომავლისათვის, ზრდიდეს თავის სამშობლოს ინტერესებით განმსჭვალულთ, დამოუკიდებელის რწმენის მოქალაქეთ, ყოველ უსამართლოების მტრებს კერძოსა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში და არა ისეთს ყურმოჭრილს მონა-მოხელეებს, რომელთაც ჰზრდიან ბიუროკრატიულს დაწესებულებებში ბიუროკრატი მოხელეები.

საყურადღებო საკითხია ისიც, თუ განახლებულს სკოლაში მომავალში როგორ აწარმოებენ თვით მასწავლებლები ქართულად სწავლებას, რადგანაც საგნის ცოდნასთან და საჭირო სახელმძღვანელოებთან იმ ენის საკმარისად ცოდნაც საჭიროა, რომლითაც ასწავლიან ამა თუ იმ საგანს. ამ მხრით, ჩვენის აზრით, ცოტა შრომა არ დასჭირდებათ მასწავლებლებს და დარწმუნებულნიც უნდა ვიყვნეთ, რომ ამ დაბრკოლებას საქმის მოყვარული მასწავლებელი ადვილად დასძლევს.

მეორე მთავარი საკითხი, რომელსაც ხვალინდელი კრება განიხილავს, ეხება მასწავლებელთა შტატს, მათს უზრუნველყოფას ჯამაგირისა და პენსიის მხრით და სხ. ამ ბოლო დროს სახელმწიფო სასწავლებლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესებულ იქმნა როგორც ჯამაგირის, ისე პენსიის მხრითაც. მაგრამ მასწავლებელთა ხარისხებად დაყოფა, დიპლომის უპირატესობა თუმცა შესუსტებულია, მაგრამ ისევ ძალაშია დღესაც სახელმწიფო სასწავლებლებში. ახალი შტატი, რომელიც გამგე-კომიტეტს შეუდგენია ქართულ გიმნაზიაში მოსამსახურე პირთათვის, აღმოცენებულია ბიუროკრატიული წესწყობილების ნიადაგზე და სრულიად არ შეესაბამება იმ აზრს, რომელსაც საზოგადოება ატარებდა ამ ათი წლის განმავლობაში და ყოველთვის მედგრად იცავდა. მოგეხსენებათ, რომ დღემდის ქართულ გიმნაზიაში შტატის მასწავლებელთათვის თანასწორ შრომის კვალობაზე თანასწორი გასამრჯელო იყო დაწესებული; დიპლომს, მაღალი განათლების ხარისხს პირველ რიგზე არ აყენებდა, არამედ საქმიანობას და საზოგადოთ მასწავლებლის მუყაით შრომასა და უნარს უწევდა ანგარიშს. ამ წესით მასწავლებლები, როგორც უფლებით, ისე ჯამაგირის რაოდენობის მხრითაც თანასწორნი იყვნენ, რასაც თავისი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა და ექნება კიდეც. საზოგადოებაში ერთხელ წამოყენებული აზრი თანასწორობისა შეიძლება დროებით, გარემოების მიხედვით, მიჩრდილულ იქმნეს, მაგრამ აზრი უკვდავია და გჯერა ისევ აღსდგება ის იდეა თანასწორობისა, რომელსაც თავგამოდებით იცავდნენ ჩვენი გიმნაზიის რეორგანიზაციის მოტრფიალენი ამ ათი წლის განმავლობაში.

სამწუხაროდ, ახალი შტატი, გამგე-კომიტეტის მიერ შემუშავებული, არამც თუ იცავს ძველს თანასწორობის პრინციპს შტატის მასწავლებელთა შორის, პირიქით, ჰბადებს მათ შორის დიპლომის მიხედვით უთანხმოებას, რომელსაც მოსალოდნელია სვა რამეც მოჰყვეს. 1914 წლის განმავლობაში ძველი შტატით გიმნაზიაზე დახარჯულა 69043 მან. 29 კ. (იხ. ანგ. გვ. 90), ახალი შტატით 1915 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 70176 მან. 90 კ., მაშასადამე, განსხვავებაა რაღაც 1133 მ. 71 კ-ით. მაგრამ საკითხი ის არის, უმჯობესდება ამ ახალი შტატით მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა, თუ არა? საერთოდ რომ ავიღოთ არაფერი გაუმჯობესება არ სჩანს. მხოლოდ თითო ორო-

ლას და ისიც დიპლომიანს თუ ეტყობა ცოტათი გაუმჯობესობა, სხვებს საერთოდ ან იგივე ჯამაგირი რჩება, რაც ძველი შტატით ჰქონდა, ან საგრძნობლად აკლდება თითქმის ორმოც თუმნამდე თითოს წელიწადში. ასეთია მდგომარეობა ოთხი შტატის მასწავლებლისა (იხ. ანგ. გვ. 90); ამათ ახალის შტატით აკლდებათ ბინის ქირა 240 მან. და კლასის დამრიგებლობისა 160 მანეთი. უეჭველია ეს დაკლებული ფული მიემატება იმ ორიოდე მასწავლებელს, რომელთა ნივთიერ მდგომარეობისათვის, როგორც სჩანს, მეტი მზრუნველობა გამოუჩენიათ, ერთისთვის წაურთმევიათ, მეორისთვის მიუციათ, ერთი წაუწყმენდიათ, მეორე უცხონებიათ. რამდენად შესაფერისია ჯამაგირის დაკლება მასწავლებლისათვის თუ გინდ დღევანდელს პირობებში, რამდენად შესაწყნარებელია ამ შემთხვევაში, რომ კანონს ჰქონდეს უკუქცევითი მოქმედების ხასიათი, რა სულიერ მდგომარეობას უნდა განიცდიდეს ის მასწავლებელი, ვისაც აკლდება ან ამხანაგის ჯამაგირიდან ემატება რამე, ამის გამორკვევა დღევანდელი კრების საქმეა, რომელიც ყოველთვის წინაალმდეგი იყო მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დაკლებისა და უნდა ვიგულისხმოთ დღესაც სამართლიანიდ გადაჭრის ამ საკითხს.

ახალის შტატით გაკვეთილების საფასურსაც საფუძვლად ბიუროკრატიული შეხედულობა—დიპლომი უძევს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მოწვეულს მასწავლებელს დიპლომიანიც რომ იყვეს, გაკვეთილში მაინც ნაკლები საფასური ეძლევა: ე. ი. 60 მან. გაკვეთილში 70 მან. ან 75 მანეთის ნაცვლად. ბინის ქირა მასწავლებლისთვის მოსპობილია, ის რჩება მხოლოდ დირექტორს 900 მან. და ინსპექტორს 675 მან. სამაგიეროდ გიმნაზიის პირველ კლასიდან დაწყებული კლასის დამრიგებლობაში ახალის შტატით ეძლევათ 600 მანეთი ე. ი. იგივე რაც სახაზინო გიმნაზიებში აძლევენ ამ ბოლო დროს. საზოგადოთ კლასის დამრიგებლობა, თუ პედაგოგიურის თვალსაზრისით იქმნა განხილული და არ ჩამოქვეითდა პოლიციურს საფეხურამდე, აზრს მოკლებული არ არის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველ შემთხვევაში ბავშვის სალი გონება, ხასიათი და ნება რიგიანი მასწავლებლის თითო ოროლა გაკვეთილებზედაც უფრო ვითარდება, ვიდრე იმ დროს თუნდაც ათი აღმზრდელი და დამრიგებელიც მიუყენოთ. მაგრამ გაუგებარი ის არის, რომ ახალი შტატით კლასის დამრიგებლობა ასე საჭიროა პროგიმნაზიულსა და გიმნაზიურს კლასებში, რომ 600 მანეთს არ იშურებენ ამისთვის, რაღა დააშავეს მოსამზადებელი კლასების მასწავლებლებმა, რომელთაც უფრო პასუხსაგები საქმე აქვთ ნორჩ ბავშვებთან, რომ მათ ამ მძიმე შრომას უსასყიდლოდ აკისრებენ ახალის შტატით.

ყოველ შემთხვევაში ისე შტატის შეცვლა, როგორც გამგე კომიტეტს განუზრახავს, ჩვენი აზრით, სამართლიანობასა და თანასწორობას შორის იჭერს და ეს სერიოზული საკითხი უფრო დაწვრილებით უნდა იქმნას გადასინჯული იმ პრინციპის დაცვით, რასაც საზოგადოება დღემდის ადგა

**ჩრდილელი.**

სებს 2000 ნაბიჯით დაუხევინებიათ მტერი. სტრატეგიულად მეტი მნიშვნელობა აქვს რუსების გამარჯვებას დნესტრის მარცხენა ნაპირზე, სადაც რამდენიმე დღის წინად ავსტრიელები ჟურავნოსთან გამოვიდნენ და ლვოვისაკენ მიიწევდნენ. აქ 28 მაისს რუსებს ავსტრიელები დაუმარცხებიათ, დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გადურეკიათ და ხელთ უგდიათ მრავალი ტყვე და 17 ზარბაზანი. ამ მხრიდან მოსალოდნელი ხიფათი რუსის ჯარს თავიდან აუცდენია, ხოლო სტრატეგიული შედეგი ამ გამარჯვებისა სავსებით იმაზეა დამყარებული, მოახერხებს თუ არა რუსის ჯარი მარჯვენა ნაპირზე გადასვლას, წინ წაწევას და ამ მხრით ლვოვისკენ მომავალ გზის შეკვრას.

**გ. ბ—ლი.**

# დეპეშები

## კავკას… ჯარის შტაბისაგან.

(დასასრული)

**თბილისი,** 27 მაისი. ერთსა და იმავე დროს მელიაზერგზე და ვანზე მივიტანეთ იერიში. ოსმალთ ძლიერი სიმაგრენი ეჭირათ დილმანის მახლობლად. ჩრდილოეთით ერთმა ჩვენმა ნაწილმა გადალახა ტაპარიზის გასავალი და ვანის ტბის რაიონში სოფ. სორთან ორი დღის განმავლობაში ებრძოდა ოსმალთ, ვიდრე საბოლოოდ არ გაჰფანტა იგინი. 6 მაისს ავიღეთ ქ. ვანი. ადგილობრივი მცხოვრებნი აღფრთოვანებით მოგვეგებნენ და ჩვენს ჯარებში ერეოდნენ, ხოლო ქალაქის წარმომადგენლებმა ჯარის უფროსს მიართვეს ქალაქის გასაღები. ვანში რუსის ჯარმა აიღო 25 საციხოვნო იარაღი, 3000 ფუთი თოფის წამალი, დიდძალი იარაღი, ხაზინებს და სახელმწიფო დაწესებულებებს კონფისკაცია უყო, ჩაიგდო ფოსტა და მეორე დღეს დაედევნა ნატებ ოსმალთა ჯარებს ბიტლისისთან. ახალი ბრძოლა გაიმართა ს. ვასტანთან. ამასობაში ვანში მოვიდა რუსის ჯართა მეორე ნაწილი. ეხლა უფრო საძნელო იყო ოსმალთა ჯარების მდგომარეობა. სცდილობდნენ, ბიტლისთან მთიან გასავლებით გაქცეულიყვნენ, მაგრამ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ. უკანასკნელად ოსმალნი გამაგრდენ ბაშკალთან 35 ვერსის მანძილზე თოვლიან მწვერვალებზე. საოცარია, ოსმალნი მკაცრ ბუნებას და ჩვენს ცეცხლს თამამად უმკლავდებოდნენ, მიუხედავად ამისა 22 მაისს მაინც დამარცხდნენ, მწვერვალიდან ჩამოყრილ იქმნენ ლევინის ღელემდინ. ამნაირად, 22 მაისს, რუსის ჯართა ...ერი თავკაშიდებით დაპყრობილ იქმნა ვანისა და ურმიის თვალუწვდენელი მანძილი. აზერბაიჯენში ოსმალნი შეეცადნენ ამ რაიონიდან რუსის ჯარების განდევნას, მაგრამ ვერ მოახერხეს.

—

**თბილისი.** კავკასიის შტაბის განცხადება. 26 მაისს ოსმალნი შეეცადნენ ოლთისის გზით შემოეტიათ რუსების მიერ დაჭერილ პოზიციებზე, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ტურტუმის ტბასთან სროლა იყო. ოლთი-ჩაის ღელეში კაზაკები თავს დაესხნენ ოსმალთა ტრანსპორტს და სულ ერთიანად გაანადგურეს. სხვაფრივ ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი.** 27 მაისი. ავტორიტეტულ წყაროებით იუწყებიან, რომ რუსის წყალქვეშა შეეჯახა გერმანელთა ესკადრას ბალტიის ზღვაში. როგორც სჩანს, იერიშმა ამაოდ არ ჩაიარა, რადგან ნასროლ ნაღმის შემდეგ ნავებზე აფეთქების ხმა მოისმა. 23 მაისს ინგლისელთა წყალქვეშამ ვანდამელსთან იერიში მიიტანა გერმანელთა გემზე. ჰფიქრობენ, ერთი ნაღმოსანი დაიღუპა და ერთიც სატრანსპორტო ხომალდი.

**ლონდონი.** 27 მაისი. გერმანელთა წყალქვეშამ ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირებზე დაღუპა ნორვეგიელთა გემი „გლიტერტინგი“. 50 მილის მანძილზე ფასტნერის დასავლეთით ყუმბარით დაღუპეს ნორვენგიელთა ხომალდი „სუ პერამი“. გერმანელთავე წყალქვეშის მიერ დაიღუპა ბელგიელთა გემი „მენაპიერი“, რომლის კაპიტანი უკვალოდ დაიკარგა უფროსი შტურმანი და ეკიპაჟიდან 12 კაცი.

**პეტროგრადი.** მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. შავლის რაიონში გერმანელთა იერიშები 26—27 მაისის განმავლობაში რაკიევის ტბის ფართო ასპარეზზე მარჯვედ მოიგერია რუსის ჯარმა. ორჟიცისა და ვისლის შუა 26—27 მაისს ძლიერი სროლა იყო. პილიცის ნაპირებზე 27 მაისს, განთიადისას გერმანელთა ძლიერი ჯარი შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ უკუ გდებული იქნა. რუსებმა რამდენიმე ათეული ტყვე წაიყვანეს. გალიციაში რუსთა პოზიციებზე ძლიერი ჯარებით ეკვეთნენ გერმანელები. საღამოთი, 26 მაისს, არტილლერიის აუწერელი ცეცხლი გაუჩინა მოსციսკისთან რუსთა გამაგრებულ პოზიციებს. სროლის დროს ჰხმარობდნენ მოშხამულ გაზიან ყუმბარებს. სამი საათის სროლის შემდეგ ქვეითი ჯარი იერიშით წამოვიდა, მხოლოდ მავთულის ხლართულ ლობესთან [illegible] მეორე დილას [illegible] 2000 ნაბიჯით უკუ აგდეს. 26—27 მაისს რუსთა სასარგებლოდ გათენდა დილა. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე გარსბურგიდან ჟიდაჩევამდე რუსთა ჯარმა შეავიწროვა გერმანელები და კვლავ 2 ათასი ტყვე წამოიყვანეს 50 აფიცრითურთ და 8 ტყვიის მფრქვეველით. დნესტრის მარცხენა ნაპირზე, ჟურავინის რაიონში, გერმანელაბმა შეაჩერეს ჯარების გაშლა და დიდი ზარალით უკუ აგდეს რკინის გზის გასწვრივ. რუსთა ხელში რამდენიმე სოფელი გადავიდა. ბუკაჩენიცთან ტყვედ წაიყვანეს 700 ჯარის კაცი. 20 აფიცრით.

**პეტროგრადი.** 28 მაისი. მთავარ შტაბის ოფიციალური ცრობა: 28 მაისის განმავლობაში გმირული თავგანწირულების შემდეგ რუსების ჯარმა მოახერხა მტრის ძალთა დაჯაშენა და დნესტრის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენაზე გადარეკა. მკაცრი ბრძოლის შემდეგ დავლად დაგვრჩა 17 ზარბაზანი, 49 ტყვიისმფრქვეველი, 88 აფიცერი და 6500 ჯარის კაცი. ტყვეებში ურევია გვარდიის მთელი როტა.

**რომი.** 28 მაისი. ტიროლიდან ტრიენტის ოლქამდე იტალიელნი მაგრდებიან. ამით მათ ჰსურთ ავსტრიელები აიძულონ, საფრიდან გამოიყვანონ მათი ძალებისა და გეგმის გასაგებად, თუ ომის აპერაციისთვის რასა და როგორ ამზადებენ. კორიცნოსა და დამპეცოსთან იტალიელებმა დაამარცხეს ავსტრიელნი. დავლად რამდენიმე ზარბაზანი დარჩათ. იზონცოს მარჯვენა ნაპირზე ავსტრიელები სასტიკ წინაალმდეგობას უწევდნენ მათ. იტალიელებმა დაიჭირეს მონფალკონე; კაპრეტოს მახლობლად და საზოგადოდ მდ. იზონცოს ღელესთან 400 მეტი ტყვეა წამოყვანილი.

**პარიზი.** 27 მაისი. არასის ჩრდილოეთით ძლიერი არტილერიის სროლაა—გუშინ ღამ და დღეს დილით ფრანგებმა დაიჭირეს ნევილ-სენ-ვაასტის უკანასკნელი სახლები. ეხლა მთელი სოფელი ფრანგების ხელშია. ამის გარდა, სოფლის გარედ ფრანგებმა წინ წაიწიეს ჩრდილოეთ უბანში. ლამისანტშიაც საქმე ჩინებულად მიდის.

**ლონდონი.** 28 მაისი. ქვანახშირით დატვირთული გემი „ლედისოლსმერი“ ლონდონში მიდიოდა. გზად გერმანელთა წყალქვეშამ ნაღმი გაუფრთხილებლივ ესროლა. გემი გარვიჩთან დაიღუპა. მეზღვაურთა მეტი წილი დაღუპულია.

**ათინა.** 27 მაისი. კუნძულ თენედოსი-

# ომის დღიური

### მიმოხილვა

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე შავლისკენ მომავალ გერმანელებს რუსის ჯარი რაკიევოს ტბის ნაპირებთან გადაელობა და ორი დღის ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირე შეაჩერა. მარცხენა წვერი რუსის ჯარისა მდინარე დუბისას მარჯვენა ნაპირით ისევ წინ მიიწევს, თუმცა გერმანელები სასტიკ წინაალმდეგობას უწევენ. ცოტა ქვეით, ნემანის მარცხენა ნაპირე გერმანელები კოზლოვორუდის ტყეს მოედვნენ და ჩრდილოეთით გამოვიდნენ, სადაც რუსის ჯარს უკვე შეხვდნენ. ოსოვეცს კვლავ ზარბაზნებს უშენენ. არაფერი ისმის, რა ხდება აქედან მდინარე ორჟიცამდე, ხოლო ამ მდინარიდან ვისლამდე, ე. ი. იმ კუთხეში, სადაც დასავლეთისკენ მიმავალი ფრონტი სამხრეთისკენ ეშვება, ცხარე საარტილერიო ბრძოლა გაჩაღებულა. ცხადია, რომ ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ფეხის დაჭერით გერმანელებს სურთ მიიპყრონ რუსების ყურადღება, აქ მიიზიდონ მისი ბარქაფა ჯარი და გაუადვილონ საქმე ავსტრია-გერმანელებს გალიციაში, სადაც მათი საქმე 28 მაისს შეფერხდა. აქ პერემიშლიდან და გუსაკუვიდან წამოსული მტერი ძალუმად მისწოლია მოსციսკას წინაშე გამაგრებულ რუსებს და საღამოს 8 საათზე, მეტად ცხარე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ, ქვეითობას მიუღწევია მავთულებამდე, მაგრამ მეორე დღეს დილით რუ-

# საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობა

(წარსული, აწმყო და მომავალი).

### შესავალი

საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც . . . . რუსეთის სახელმწიფომ განიცადა, ჩვენ, ქართველებისათვის, განსაკუთრებით იმითაა საგულისხმო, რომ აქ, ამ მოძრაობაში, ჩვენმა ხალხმა პირველათ წამოაყენა ერთათ ზოგად-ცხოვრების თითქმის ყველა მთავარი საკითხი: პოლიტიკური, ეკონომიური, სასკოლო და სარწმუნოებრივი. ჩვენს ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მომენტი, როდესაც აღნიშნული საკითხები ყველა ერთალ ყოფილიყოს წამოყენებული. და გავლილი მომენტის ისტორიული მნიშვნელობაც სწორეთ იმაშია, რომ აქ პირველათ გადაიშალა და თვალსაჩინო შეიქმნა საზოგადოებრივ-პსიხოლოგიური ნიადაგი, რომელზედაც ამიერიდან თანდათან უნდა გამოირკვეს და განხორციელდეს მრავალგვარი იდეალი ჩვენის ერისა: პოლიტიკური, ეკონომიური, სასკოლო და სარწმუნოებრივი.

წინამდებარე წიგნაკის მიზანია: მკითხველს მისცეს სრული წარმოდგენა ქართულ საეკლესიო საკითხზე, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს (სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების მოლოდინში) კვლავ მიიქცია ჩვენი პრესისა და საზოგადოების ყურადღება.

რომ ჩვენი წერილების მთავარი დასკვნანი უფრო გასაგები იქნეს, ცოტა შორიდან დავიწყებთ, რადგან, დარწმუნებული ვართ, თანამედროვე ქართველთა შორის ბევრს არ ექნება რიგიანათ, გათვალისწინებული ამ საკითხის წმინდა ზნეობრივი და ისტორიულ-უფლებრივი საფუძველი და მნიშვნელობა, მისი ზოგად-კაცობრიული და კერძო-ეროვნული ფასი და ღირებულება.

მთელი ეს წერილი ხუთ თავად იქნება გაყოფილი:

1. პირველ თავში შევეხებით—ეკლესიას და მის თავისუფლებას საზოგადოთ:

II. მეორე თავში მოკლეთ წარმოვადგენთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ისტორიას რუსეთთან შეერთებამდე;

III. მესამე თავის საგნად გვექნება—ეკლესიისა და სინიდისის (სარწმუნოების) თავისუფლება ძველ საქართველოში;

IV. მეოთხე თავში ავნუსხავთ, თუ რა გზით მოხდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ფაქტიური გაუქმება მე-19-ე საუკუნეში და რა შედეგები მოჰყვა ამ გაუქმებას ჩვენი ერის ცხოვრებაში;

V. ხოლო მეხუთე თავში შევეცდებით გამოვარკვიოთ: რა სჭირდება საქართველოს ეკლესიას დღეს და რა გზას უნდა დაადგეს იგი თავის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

### I.

### ეკლესია და მისი თავისუფლება საზოგადოთ

„მიეცით კეისრისა კეისარსა, და ღმრთისა—ღმერთსა“.

სახ. მათეს XXII, 21.

„მორჩილება ჯერარს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა“.

საქმ. მოციქ. V. 29.

საქრისტიანო ეკლესიის დამაარსებელმა ორი მთავარი პრინციპი წამოაყენა:

**პირველი**—სრული **განცალკევება** ზნეობრივ-სარწმუნოებრივის სფერისა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივის სფერისაგან: „მიეცით კეისრისა კესარსა, და ღმრთისა—ღმერთსა“;

**მეორე**—სარწმუნოებრივს საქმეებში სინიდისისა და საღმრთო კანონების **უპირატესობა** სახელმწიფო კანონებისა და საერთო მთავრობის წინაშე; „მორჩილება ჯერარს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა“.

მაგრამ ამ პრინციპთა ისტორიულ-უფლებრივი მნიშვნელობა და სიდიადე რომ უფრო ნათლათ წარმოვიდგინოთ, საჭიროა ჯერ მოკლეთ გავითვალისწინოთ, თუ როგორს მდგომარეობაში იმყოფებოდა საზოგადოთ სარწმუნოება რომის იმპერიაში, როდესაც იქ პირველათ გაისმა ძლიერი ხმა ქრისტეს მოციქულებისა, პირველათ გამოცხადდა ქრისტიანობრივი მოძღვრება და ეკლესია.

დადგა თუ არა იმპერატორების ეპოქა, რომელსაც თან მოჰყვა ქვეშევრდომთა თავისუფლების და აზრთა დამოუკიდებლობის სრული ჩამოქვეითება, გამრავლდა ჯაშუშობა, გაიძვერაობა, უფროსების ფეხთა-ლოკვა და უმცროსთა ფეხქვეშ თელვა, გავრცელდა მლიქვნელობა, მონური ზნეობა და დესპოტიზმი,—შესაძლო შეიქნა ამდეგის მდგომარეობის დამყარება. რომის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ თავის სახელმწიფოში აბსოლუტური ერთ-მთავრობა შეენახათ და გაეძლიერებინათ, სხვათა შორის, ერთს უკიდურეს საშუალებას მიმართეს: თვით იმპერატორები შემოსეს ღვთაებრივის პატივისცემით, მიუძღვნეს ტიტული „ავგუსტოსისა“ (უწმინდესისა), იუპიტერის მოადგილედ დასახეს და „იმპერატორთა კულტი“ აღიარეს ყველა ქვეშევრდომთათვის სავალდებულო რელიგიად მთელს იმპერიაში.

იმპერატორი ერთსა და იმავე დროს ღმერთის მოადგილეც იყო და უუდიდესი მღვდელ-მთავარიც (Pontifox Maximus), სიკვდილის შემდეგ-კი უსათუოთ ღმერთების სიაში ეხქცეოდა. აქ სარწმუნოება პოლიტიკასთან იყო შექსოვილი და პოლიტიკა სარწმუნოებასთან, მათ შორის არავითარი განყოფა არ არსებობდა: რელიგიის მოსამსახურენი იგივე სახელმწიფო მოხელეები იყვნენ, ქურუმები-კი მხოლოდ თანაშემწის როლს ასრულებდნენ; კანონმდებლობა სარწმუნოების შესახებ, მმართველობა და სამართალი სარელიგიო საქმეებში იმავე სახელმწიფო მოხელეებს ეჭირათ; კულტისათვის საჭირო ნივთიერი საშუალებანიც იმავე სახელმწიფოს ბიუჯეტის სტატიას შეადგენდა.

თუ რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ გვარს მდგომარეობას ქვეშევრდომთა რწმენის თავისუფლებისათვის, თუ რა სასტიკათ უნდა შეეხუთა მას ადამიანის უუძვირფასესი საუნჯე—სინიდისი და მისი თავისუფლება,—ამის შესახებ რომის იმპერატორები დიდათ თავს არ იტკენდნენ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათს აზრს, სხვათა შორის, სწორეთ ამნაირი შევიწროება შეადგენდა: რომის იმპერიაში ყველაფერი ამ თვითმპყრობელთა განუსაზღვრელს ბატონობას ემორჩილებოდა, ქვეშევრდომთა რწმენა და სინიდისიც, რასაკვირველია, მათი ყურ-მოჭრილი მონა უნდა გამხდარიყო. მოკლეთ რომ მოვჭრათ, რომის იმპერიამ სარწმუნოების თავისუფლება არ იცოდა.

აი, როგორს მდგომარეობაში იყო ადამიანის წმინდათა-წმინდა, მისი ულრმესი შინაგანი მსოფლიო, როცა პირველათ გაისმა მაცხოვრის ქადაგება, პირველათ აღსარებულ იქმნა პრინციპი სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ სფერათა განყოფისა.

რომის იმპერატორთა განუსაზღვრელ დესპოტიზმს ქრისტეს მოძღვრებამ წინ წამოუყენა პიროვნების განუსაზღვრელი უფლებანი, კაცის შინაგანი მსოფლიო, მისი რწმენისა და სინიდისის შეუზღუდველი თავისუფლება. მართალიაო,—ამბობს ეს მოძღვრება,—რომ ყოველი კაცი თავის გარეგან მდგომარეობით უსათუოთ რომელსამე ხალხს ან სახელმწიფოს წევრია; ამ მხრით და ამდენათ იგი ამ სახელმწიფოს ემორჩილება და უნდა დაემორჩილოს: „მიეცით კეისრისა კეისარსა“, მაგრამ, ამასთანავე, ყოველ ადამიანს აქვს მთელი შინაგანი მსოფლიო, საკუთარი რწმენა და სინიდისი; ეს მხარე კი სავსებით კერძო მორალურსა და სარწმუნოებრივ სამთავროს ეკუთვნის: „მიეცით—ღმრთისა ღმერთსა“; აქ მოქმედობს ღმერთი და კერძო პირის თავისუფალი სინიდისი; აქ „მორჩილება ჯერ-არს ღმრთისა უფროს, ვიდრე კაცთა“.

ასეთია თავისუფლების პრინციპი, რომელზედაც მაცხოვარმა თავისი ეკლესია დააფუძნა. ახლა ვიკითხოთ: რას წარმოადგენს ეს ეკლესია თავისთავათ უფლებრივის მხრით და რით განსხვავდება იგი სახელმწიფოსაგან?

მორწმუნეთათვის ეკლესია არის თავისუფალ წევრთაგან შემდგარი სარწმუნოებრივი კავშირი, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც კაცთა შორის თანდათან ხორციელდება „ღმრთის სასუფევლის“ დედა-აზრი, ე. ი. ადამიანს ეძლევა ძალა და საშუალებანი **ზნეობრივ სისრულისა და ღმერთთან ერთობის მისაღწევად.** ეს კავშირი, როგორც თავის მიზნით, ისე შინაგანის წყობილებით, კანონმდებლობით, გამგეობით და სამართლით, წარმოადგენს სახელმწიფოსაგან განსხვავებულს და დამოუკიდებელს საზოგადოებას.

მიზანი ქრისტეს ეკლესიისა განსხვავებულია სახელმწიფოს მიზნისაგან. მაშინ, როცა ამ უკანასკნელის განსაკუთრებულ საზრუნავს ქვეშევრდომთა (და ისიც არა ყოველთვის ყველა ქვეშევრდომთა) ქვეყნიური კეთილდღეობა, მათ ქონებრივ და საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა განწესრიგება და ამის შესაფერ სწავლა-განათლება შეადგენს,—ეკლესიის პირდაპირი დანიშნულება ყველა თავის წევრთა შინაგან, **ზნეობრივ და სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა** დაკმაყოფილება, მათი ზნეობრივ-სარწმუნოებრივი აღზრდა არის და იქნება.

**საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა** სფეროში ეკლესიის მოვალეობაა: ძალდაუტანებლათ ხალხს სიმართლე ამცნოს და ჭეშმარიტება არ დაუმალოს, გაგონება კი მორწმუნეთა სინდისსა და ნებელობაზე ჰკიდია. **პოლიტიკურ** საქმეებში კი ეკლესიას საქმე არა აქვს.

უზენაესი გამგეობა, კანონმდებლობა და სამართალი ძველათ საეკლესიო კრების ხელში იყო. ამ კრებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სასულიერო იერარქიის პირნი, ისე მორწმუნეთა წარ-

დან იუწყებიან, რომ გალიპოლისის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეთა ძალები გამარჯვებით მიდიან წინ. ოსმალთა 8 პოლკი უკუუქცევიათ. მოკავშირეთ დამხმარე ჯარები შეუწყვეტლივ მოდით. გერმანელებმა აქაც მოიხმარეს მოშხამული გაზები. ოსმალნი სტამბოლს ამაგრებენ. გერმანელებს მისი დაწვა გადაუწყვეტიათ, თუ მოკავშირენი შევლენო.

**ათინა.** 28 მაისი. გაზეთებმა გამოაქვეყნეს საბერძნეთის მთავრობის პროგრამა; სადაც ნათქვამია, მთავრობა თავის მოვალეობად ისახავს დაიცვას ხალხის ნებისყოფის მიერ ომითა და ბრძოლით მოპოებული ტერიტორია და შეუდრეკელად აწარმოოს თავისთავადი სახელმწიფოს პოლიტიკაო. აუცილებლად მიგვაჩნია მშვიდობიანობის დაცვას ვემსახუროთ, მაგრამ ამავე დროს მზად ვიქნებით ჩვენი ეროვნული უფლების დასაცავადო. მთავრობას უალრეს მოვალეობად მიაჩნია ხმელეთისა და საზღვაო ძალის გაძლიერებაო.

**რომი.** 27 მაისი. იტალიის მთავრობა მოელოდა გერმანიის მთავრობისგან ომის გამოცხადებას, რადგანაც დიპლომატიური უთიერთობა უკვე შეწყვეტილია მათ შორის, მაგრამ დღემდე არაფერი მოსულია. არც ისა სჩანს, რომ გერმანია თავის ჯარებს გზავნიდეს ავსტრიაში იტალიის წინააღმდეგო. ასეთი ვითარების გამო გერმანიასა და იტალიას შორის ჩამოვარდა ერთგვარი შეთანხმება, თუ როგორ უნდა იქმნას დაცული ერთის მხრით გერმანიაში მყოფ იტალიის ქვეშევრდომთა უფლება, ხოლო მეორეს მხრით იტალიაში მყოფთ გერმანიის ქვეშევრდომთა უფლება. ამ შეთანხმების ძალით ორთავე სახელმწიფოს ქვეშევრდომთ თავისუფალი ცხოვრების უფლება აქვთ მტრის ტერიტორიაზედ, ზოგიერთი ადგილის გარდა. კომპეტენტურ წრეებში ფიქრობენ, ეს შეთანხმება დროებითი არისო და მოხერხებულ დროს გერმანია ომში ჩაერევა იტალიის წინააღმდეგო.

**რომი,** 27 მაისი. ოფიციალურად იტყობინებიან, ერთი ჩვენი ჰაეროპლანი ფიუმეს დასტრიალებდა, საიდანაც სოხმარ ადგილზე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. უკან დაბრუნებისას მოტორი გაუფუჭდა და იძულებული შეიქმნა ლუსინოს კუნძულის მახლობლად ზღვაზე დაშვებულიყო. აქ მას ცეცხლი წაეკიდა. მოწინააღმდეგის ცნობით დირიჟაბლზე მყოფნი გადაურჩენიათ და ტყვედ წაუყვანიათ.

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა ვილსონმა ბრაიანის სამსახურიდან გადადგომის განცხადება მიიღო. მათ შორის უთანხმოება იყო გერმანიისადმი ნოტის წარდგენის გამო. ბრაიანი წინააღმდეგი ყოფილა ნოტას ულტიმატუმის ხასიათი მისცემოდა, რადგან მისი აზრით ეწინააღმდეგება მშვიდობიან სახელმწიფოთა პრინციპებსაო. ამის გამო იგი კაბინეტს თავს ანებებს. ნოტას დიდის გულდასმით არდვენენ. ამბობენ, უკეთუ წარდგენილ ნოტაზე შეთანხმება ვერ მოახერხეს, გერმანიასა და ამერიკას შორის მეგობრული განწყობილება მოისპობაო.

**ლონდონი.** ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის ამერიკის ნოტის წარდგენის შესახებ, მაგრამ თუ ეს მოხდა და დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიიღო ამერიკამ, დიპლომატიური მოლაპარაკება შესწყდებაო.

# ქურნალ-გაზეთებიდან

**ლიბავაში.**

ერთი ლატიშური გაზეთი სწერს: 7 მაისს გერმანელებმა ლიბავაში მოაგროვეს და მაშინვე გაგზავნეს გერმანიაში წითელ ბილეთიანები. 12 მაისს მოაგროვეს ყველა ახალგაზდა 17—20 წლამდე და ესენი ისე სწრაფად გაისტუმრეს, რომ მშობლებთან გამოთხოვების ნებაც არ მისცეს! ჭაბუკები იმით დაამშვიდეს, რომ ომში არ გაგზავნიან, მხოლოდ ამუშავებენ. ისიც ურჩიეს, ფულს ნუ წაიღებთ, არ გამოგადგებათო, რადგან გერმანელებს სასტიკად აკრძალული აქვთ უცხოელებს მიჰყიდონ რამე. მალე ლურჯბილეთიანებსაც წაიყვანენ.

ლიბავაში მუშაობს ტყავეულობის ყველა ქარხანა და აგრეთვე მავთულის ქარხანაც. ეს ქარხნები დანაღმულია იმ მიზნით, რომ ააფეთქონ თუ ვინიცობაა გერმანელებს ქალაქის დაცლა მოუხდათ. დანარჩენ ქარხნებიდან და სახელოსნოებიდან წაიღეს რაც კი მასალა იყო, ხოლო არყის სახაზინო საწყობიდან გაზიდეს სპილენძის ქვაბები.

ბერენდის ორთქლის წისქვილი დღე და ღამ მუშაობს. ფქვილის ერთ წილს ხალხს აძლევენ, დანარჩენი გერმანიაში გააქვთ. სურსათ-სანოვაგის საწყობებში შეტანილია ბენზინი და ნავთი, რათა გაჭირვების დროს ყველაფერი დასწვან. ცეცხლის მქრობელ რაზმს მშვენიერი ცხენები წაართვეს და ნაცვლად დავარდნილები მისცეს. კვირა-უქმე დღეებში ლიუტერანთა ყოველ ეკლესიაში წირვას აყენებენ. ეკლესიების გასაღებებს გერმანელები ინახავენ და მალე ზარების გაგზავნასაც აპირობენ, რადგან სპილენძი უნდათ. სამგზავრო გემი „სარატოვიც" გაგზავნეს გერმანიაში, ხოლო მეორე—„ბალტიკა" ისევ ლიბავაში სდგას. მაღაზიებში აწერილია ველოსიპედები და ოზინის ყოველნაირი საქონელი. ქალაქი გაყოფილია 3 უბნად. პოლიცმეისტერად დანიშნულია ვინმე ფონ-გარტმანი, რომელმაც თან მოიყვანა 10 პოლიციელი და იმათ მიაშველა 50 ადგილობრივ ნაშოვნი კაცი. დღისით მარტო პოლიციელები იცავენ წეს-რიგს, ღამით კი მათ ჯარის კაცნიც ეშველებიან. პოლიციელებს წარწერა აქვთ მკლავზე გაკეთებული გერმანულ და ლატიშურ ენებზე.

სწორედ 9 ს. და 50 წ. ხალხს განსაკუთრებულის ნიშნით ატყობინებენ, რომ ქუჩები უნდა დაიცალოს. 1 საათის შემდეგ აკრძალულია გარეთ გამოსვლა. ვინც დაიგვიანებს იჭერენ და მეორე დილით უშვებენ. (რ.)

**სამხედრო ბეგარა ინგლისში.**

„რ. ვედ."-ს სწერენ ლონდონიდან; კონსერვატორებმა განიზრახეს სამხედრო ბეგარის შემოღება. ლიბერალთა პრესა ცხარე აგიტაციას ეწევა ამის წინააღმდეგ. გაზეთი „დაილ ქრონიკლი" სწერს: „ბეგრის მომხრენი გაცრუებულან თუ ჰგონიათ, რომ ინგლისის ხალხმა ამ საკითხის შესახებ აზრი შეიცვალა. ინგლისელებმა ძალიან კარგად იციან, რომ გაჭირვების დროს საჭიროა დიდი ჯარი და აკი ასიათასობით ჩაეწერნენ, მაგრამ იძულებითი სამსახური მას არ უნდოდა—და არც ეხლა უნდა. კონტინენტალური მილიტარიზმი მას ეხლა უფრო ეჯავრება, ვიდრე ომამდე.

**პაპი ბენედიქტე XV.**

გერმანული პრესა იუწყება, რომ კარდინალი კასპარი სწერს ვრცელ მემორანდუმს შესახებ პაპის მდგომარეობისა იტალიის ომში ჩარევის შემდეგ. მემორანდუმი გაეგზავნება ყოველ სახელმწიფოს კათოლიკურსა და პრაკათოლიკურსაც.

იგივე პრესა იუწყება, რომ როცა პაპმა ავსტრიისა და გერმანიის პრელატები მიიღო გამოსამშვიდობებლად, მიუბრუნდა და აღელვებით უთხრა მათ:

— მე პატიმარი ღვთისა, გეუბნებით: ჩემს ხელზე თქვენ ბორკილს არ ხედავთ, მაგრამ მაინც შებორკილი ვარ.

პაპი ძალიან დარდობს. მან სთხოვა პრელატებს ილონონ ყოველივე ღონე და ომის მიერ გამოწვეული ტანჯვა დაანელონ.

**წყალქვეშა ნავთა რაოდენობა ხმელთაშუა ზღვაში.**

ხმელთა-შუა ზღვაში ამჟამად ათი წყალქვეშა თარეშობს. ექვსი გერმანელებისა. მათი ნავთსაყუდარი სმირნაშია. ხოლო დანარჩენი ავსტრიელებს ეკუთვნით და დარდანელში დასცურავენ.

**ოპატოვში.**

ოპატოვში 7 ათასი მცხოვრებია. ამ უკანასკნელ დროს ისომის ასპარეზად გარდაიქცა და რამდენიმე დღის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. ჯერ კიდევ მტრის მოახლოვებაზე ხალხი დაფრთხა და ოსტროვეცისკენ გარბოდა ლიუბლინის გუბერნიაში. მტრის ზარბაზნის ტყვია შიგ შუა ქალაქში სცდებოდა. 50 სახლამდე დაინგრა. ქალაქის მახლობლად ხალხმა საფარი გაიკეთა. დარჩენილნი აქა იქ აფარებდნენ თავს, რომ მტრის ტყვიის მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ. მაგრამ აქაც არ იყვნენ დაზღვეულნი ყუმბარისაგან. თითქოს განგებ მტრის ზარბაზნები ალღოთი ჰგრძნობდნენ მათს იქ ყოფნას და სეტყვასავით უშენდნენ ყუმბარებს. ერთხანად მტრის ცხენოსანი ჯარი კიდეც შემოიჭრა და 5 საათის განმავლობაში ხალხს მოსთხოვეს 150 ყუთი პური და 25 ფუთი ხორცი.

**ესპანიაში.**

„დამშვიდებულ" ესპანიაში, როგორც „ჟურნალ დედება" იუწყება, დიდი სამხედრო მომზადებაა. ოვიედოს ქარხანა 85 თოფის ნაცვლად დღეში 250 აკეთებს. ასეთივე გაცხარებული მუშაობაა სხვა ქარხნებში. ჯარითა კონტინგენტი 140 ათასისაგან შესდგება. მაისის დამლევს 300 ათასამდე ავა. მოკლედ, ნეიტრალური ესპანია რაღასთვისაც ემზადება.

**ავსტრიელთა ოპტიმიზმი.**

„მორინგ პოსტში" ერთი ავსტრიელი აფიცერი სხვათა შორის აი რას ამბობს იტალიის შესახებ: პირველ ხანად იტალიის ჩარევას ბევრი არაფრის შველა შეეძლიან. გერმანია-ავსტრიისათვის იტალიის გამოსვლა საგრძნობელი იქნებოდა ამ სამიოდე თვის წინად, დღეს კი ჩვენ საკმაო ჯარები გვყავს იტალიის საზღვარზე და ამიტომ აღარ გვეშინიაო. რაც შეეხება ტრენტინოს, ყოველი მისი გასავალი მაღალი მთებით შეკრულია, იქაც საკმაო სიმაგრეები გვაქვს, ასე რომ იტალიას მძიმე ანგარიში უკისრნია, რომ რამე დაგვაკლონო. თვით იმ შემთხვევაშიაც, თუ იტალია ბევრს ფულსა და ხალხს დახარჯავს, მაინც ძნელად მისწვდება საწადელსა და ჩვენს სიმაგრეებს ისე ადვილად ვერ გადმოლახვენ, როგორც ეგონათ ან ჰგონიათო.

# ქართველ ქალს

ტურფა ასულო!—ტრფობის საუნჯევ,
ბროლის თეთრ-ყელავ, ლაწვ ალისფეროვ;
მარჯნის ტუჩებით ტკბილ მოსაუბრევ,
ტანით ლერწამო, მკერდ მშვენიეროვ.

ქალო მაყვალავ!—გიშრის თმიანო,
მარადისობის ნაზო სუმბულოვ;
შავ თვალა, წარბებ—წამწამიანო,
მუდამ ძიების ღრმა საიდუმლოვ...

მას ნეტარება,—შვებით აღვსილო—
ვის სიყვარულით გული აღევსოს?
ოჰ, ბანოვანო! საამოდ შ'ღილო,
მე შენი ცრემლი მაინც მეღირსოს!..

**ს. ერთაწმინდელი.**

# სამშობლოს უბრუნდებიან...

სამშობლოდან მიდიოდნენ სიცოცხლით ალსავსე ღიმილითა და ხალისით ამაყნი ივერიელნი.

მიდიოდნენ შორეულ ჩრდილოეთისკენ, უცნობ მტერთან საბრძოლველად..

ეხლა სამშობლოს უბრუნდებიან... თვალებ დახუჭულნი და გაცივებულნი.

გაჩუმებული, გაშეშებული და ძაძამოსილი ივერიც უსიტყვოდ იბარებს და გულში იხუტებს თავის ძვირფას გმირთა გვამებს.

არცა სტირის.

ცრემლი დაეშრო.

რომელი ერთი იტიროს? სათვალავიც დაეკარგა.

მივსდევდი ახალგაზრდა მუხრან-ბატონის გაცივებულ ცხედარს, სამშობლოში დაბრუნებულს, და ნაღვლიანად შევყურებდი კუბოს გარშემო თავმოყრილ ქართველობას.

ღრმა სევდით მოცულნი, დაღონებულნი და თავდაღუნულნი მისდევდნენ ქართველები ერთს მრავალთაგანს, უმანკო მსხვერპლს ამ საშინელ ხანისას...

— წმინდაო ღმერთო...—ისმოდა შორიდან ქართველ მგალობელთა ვედრება.

ამ ვედრებაში ისმოდა მწუხრი კილო, სევდა მშობლისა, ჩუმი გლოვა მამულისა...

— შეგვიწყალე ჩვენ...—კვლავ ისმოდა მუდარა მგალობელთა..

შეიწყალე ერი შენი, შეიწყალე ძენი შენი და აკმარე მათ, ტანჯულთა და დავრდომილთ, შეწირული მრავალი სახელოვანი მსხვერპლი, და მიეცი მას საბოლოოდ დღენი განთიადისა, აღდგომისა, სიხარულისა.

ასე ეხვეწებოდა უფალს მგლოვიარე ხალხი.

ჩემს გვერდით მომავალი უცნობი ქართველი ქალი მდუღარე ცრემლით სტიროდა.

**ეკალი.**

# ახალი ამბავი

✦ **თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის გამოსვენება.** 29 მაისს, დილის 12 საათზე, წირვისა და მცირე პანაშვიდის შემდეგ, რომელიც შესრულებულ იქმნა საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმის მიერ, თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის ნეშთი გამოასვენეს სიონის ტაძრიდან და ლიტანიით გაემართნენ რკინის გზის სადგურზე. ლიტანიამ გაიარა სიონისა და სასახლის ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ვერის ხიდი, მიხეილის პროსპექტი და სადოვაია და ვაგზლის ქუჩები. კუბოს აცილებდნენ გორის ეპისკოპოსი ანტონი და თბილისის მთელი სამღვდელოება. გზაში რამდენიმე ადგილას იქმნა გადახდილი მცირე პანაშვიდი. განსვენებულის პატივსაცემლად და გასაცილებლად სიონის ტაძარში დილის ათი საათიდან დიდძალი საზოგადოება მოაწყდა, ასე რომ 12 საათზე სიონის ქუჩაზე ტევა აღარ იყო. მობრძანდნენ და გააცილეს ნეშთი ნათესავებს გარდა თბილისის გუბერნატორი სტრახოვსკი, თბილისის გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. მ. ა. სუმბათაშვილი, მაზრის მარშლები და დეპუტატები, თავად-აზნაურობა, წარმომადგენელნი მრავალი საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებისა, წარჩინებული სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და დიდძალი ხალხი. ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე განსაკუთრებულმა მატარებელმა ცხედარი გააქანა მცხეთისაკენ. დაკრძალვა განსვენებულისა მოხდება კვირას, 31 მაისს, წირვის შემდეგ.

✦ **დე[illegible]** [illegible] მაზრის თავადაზნაურობის [illegible] შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა მათს უმაღლესობას დაქვრივებულ კნეინა ტატიანა ბაგრატიონ მუხრან-ბატონს:

„შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობამ გარდიხადა პანაშვიდი ბრძოლის ველზე სახელოვანად გარდაცვალებულ კონსტანტინე ალექსანდრეს ძის თავად მუხრან ბატონის სულის მოსახსენებლად; გიცხადებთ ულრმეს თანაგრძნობას, თქვენო უმაღლესობავ, ვევედრებით უფალს მოგმადლოთ ძალა ასრეთ დიდ მწუხარების გარდასატანად და თუ საქართველომ დაჰკარგა თვისი სახელოვანი შვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, დაჯილდოვებულ იქმენით ახალგაზრდა მამის ღირსეულ შვილთი თ-დ თეიმურაზით".

შორაპნის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თ-დი წერეთელი.**

✦ **ოჯახური დრამა.** გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე, ვერის დაღმართზე, გაბრიჩიძის სახლში საშინელი უბედურება დატრიალდა. გუშინ წინ კიევიდან ჩამოსულან სტუდენტი კონსტანტინე გამყრელიძე და მისი მეუღლე ბარბარე. ორივენი დაბინავდნენ მხატვარ ჯაფარიძესთან.

გუშინ შუადღისას ცოლქმარს ლაპარაკი მოსვლიათ. ქმარი ურჩევდა ცოლს თავის მშობლებთან წასვლას, ცოლი უარზე იდგა. ბოლოს საქმე ისე გამწვავდა, რომ უბედურებით დასრულდა: კ. გამყრელიძემ ბრაუნინგი იძრო და ჯერ თავის ცოლს დაახალა, მერე თვითონ დაიცა. დედაკაცს ტყვია თვალში მოხვდა და იქვე გარდაიცვალა, ხოლო მომაკვდავი ქმარი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **გამოფენა.** ვაჟთა მეორე გიმნაზიაში გამოფენილია ლაზარეთებში სახმარი და დაჭრილ ჯარისკაცთა საჭირო ნივთები. გამოფენა გასტანს 31 მაისამდე,

✦ **თბილისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა** 28 მაისს დაადგინა, ააშენოს ამერიკულ ვაზის სანერგეში, სოფ. ჩუმლაყში. (კახეთი), სარდაფი, სანერგის ზედამხედველისა და მუშებისათვის ბინა, იარაღების საწყობი და თავლა.

✦ **კრება.** ხვალ, დილის 11 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში ღარიბ მოწაფეთა მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წევრთა კრება გაიხსნება. კრებამ უნდა განიხილოს გასული წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და აირჩიოს თანამდებობის პირნი.

✦ **წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარ-რწმუნებულმა** გოლუბევმა სთხოვა საზოგადოების ყველა განყოფილებას სრული ანგარიში წარუდგინონ მას თავთავიანთ მოქმედებისა ომის დაწყებიდან პირველ მაისამდე. ანგარიშში აგრეთვე უნდა შედიოდეს წითელი ჯვრის სახელით კერძო ორგანიზაციების მოქმედება.

✦ **ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** წრევანდელი სეზონი დამთავრდა და კრებები შემოდგომაზე გაგრძელდება. რეგულიარულად საზოგადოებამ მუშაობა დაიწყო ამა წლის 15 იანვრიდან. ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებამ მოახდინა 13 კრება (მათ შორის ერთი ფასიანი დილა და ერთი საღამო). ყველა კრებებს დაესწრო 382 საზოგადოების წევრი და გარეშე პირი, ხოლო ფასიან დილას და საღამოს ამას გარდა—1000 მსმენელი. კრებებზე წაკითხულ იქმნა 3 მოხსენება. მათ მიერ გამოწვეულ კამათში მონაწილეობა მიიღო 66 პირმა. მოხსენების გარდა საბჭოს თაოსნობით გაიმართა 3 საუბარი სხვა და სხვა საგნებზე, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია 46 მოლაპარაკეს. ამავე ხნის განმავლობაში საბჭოს კრება გაიმართა 17-ჯერ. დღემდე საზოგადოებას 14 საპატიო, 170 ნამდვილი და 9 დამხმარე წევრი ჰყავს.

✦ **დღევანდელ წარმოდგენის გამო.** დღეს სახალხო სახლში, ქ-ნ **ნინო ჩხეიძის ასული** ჰმართავს ფრიად საგულისხმიერო წარმოდგენას: **ჯიოკონდა.** პიესა ეკუთვნის იტალიელთა ცნობილ დრამატურგს გაბრიელ და ანუნციოს. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. უმთავრეს როლებს ასრულებენ ქ-ნი ჩხეიძის ასული და ბ. ა. იმედაშვილი. ჩვენი საზოგადოება ორთავე მსახიობს კარგად იცნობს, იცნობს მათს მხატვრულს გემოვნებას, ნიჭს და დიდი წინასწარმეტყველება არ არის საჭირო, რომ პიესის სიძნელეს დასძლევენ და ქართულ ხე-

---

მომადგენელნიც. ერის-კაცთაგან. ასეთი იყო, მაგალითად, პირველი სამოციქულო კრება იერუსალიმში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს არა მარტო „მოციქულებმა და ხუცებმა", არამედ იერუსალიმის „ძმებმაც", ე. ი. ხალხის წარმომადგენლებმა კრების შემდეგ საეკლესიო საქმეებს. განაგებს **იერარქია,** რომლის ყოველ წევრს ირჩევდა ხალხი, ან სამღვდელოება და ხალხი, ხოლო ამტკიცებდა და „ხელ-დასხამდა", ე. ი. აკურთხევდა ეპისკოპოსი (მღვდელსა და დიაკონს), ანუ მღვდელმთავართა კრება (ეპისკოპოსს). ამ კრებას შეეძლო ხალხის არჩევანი არ დაემტკიცებინა, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს რუსის ცნობილი კანონისტი პავლოვი, „ნება არა ჰქონდა ხალხისათვის სასულიერო მწყემსი ნაძალადევათ გაემწესებინა". ეკლესიის მართვა-გამგეობა ორნაირად სწარმოებს: სწავლა-მოძღვრებით, ე. ი. სიტყვითა და ქადაგებით, და საიდუმლო მღვდელ-მოქმედებათა შესრულებით; ამას გარდა საეკლესიო იერარქიას (მღვდლებსა და მღვდელმთავრებს) უზენაესათ მინიჭებული აქვს უფლება „შეკვრისა და განხსნისა", ე. ი. სრული ზნეობრივი იურისდიკცია მორწმუნეთა შესახებ.

ასეთია საეკლესიო სამართალი და გამგეობა. როგორც ერთი ისე მეორე სრულიად განსხვავებულია საერო (სახელმწიფო) გამგეობისა და სამართლისაგან. მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი უმეტეს ნაწილად იძულების პრინციპზე არიან დამყარებულნი,—პირველნი უმთავრესათ წმინდა ზნეობრივს, ქრისტიანული სიყვარულის თავისუფალ პრინციპს მისდევენ. იქ მოქმედებს ფიზიკურათ და ქონებრივათ დასჯის შიში. აქ-კი წმინდა ზნეობრივი ავტორიტეტი. იქ მამოძრავებელია ფიზიკური და პოლიტიკური ძალა, აქ-კი მმართველის სიტყვა, ზნეობრივი გავლენა და მორწმუნეთა საკუთარი შეგნება. ასე ესმოდა საეკლესიო მართვა-გამგეობის ხასიათი და მნიშვნელობა ქრისტეს მოციქულებს, ამავე აზრისა იყვნენ აღნიშნულ საგნის შესახებ საეკლესიო მამები და მასწავლებელნი.

უკანასკნელ, თუმცა ქრისტეს-მიერ დაფუძნებული საზოგადოება, ანუ ეკლესია, თავის პირდაპირი მიზნის მიხედვით და თვით მაცხოვრის სიტყვით, „არა ამის სოფლისაგანი არს", მაგრამ ამ „სოფლად" მაინც არსებობს, ხოლო რამდენათაც იგი ამ ქვეყნად არსებობს, იმდენათაც საარსებო საშუალებანიც სჭირია; ამ ქვეყნათ საარსებო საშუალებანიც-კი—ქონებრივი საშუალებანია. და მართლაც ეკლესიის ისტორიიდან ვტყობულობთ, რომ მორწმუნეთა კეთილნებელობითი შეწირულებანი ერთ უმთავრეს წყაროს შემდგენდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეში იმ ხარჯების დასაფარავად, რომელნიც ეკლესიის სალოცავ სახლებისა და იერარქიის უზრუნველ-საყოფელად სჭირდებოდა. ამნაირ შეწირულობით ცხოვრობდნენ თვითონ ქრისტე და მისი მოწაფენი, ამნაირისავე შემოსავლით იკვებებოდა მოციქულების პირველი სამწყსო იერუსალიმში; ამნაირსავე შემოწირულებას ვხედავთ შემდეგ საუკუნეებშიაც. იერარქიის გარდა, საეკლესიო ხარჯით იკვებებოდნენ, ქვრივ-ობოლნი, მოგზაურნი, ქრისტესათვის დატუსაღებულნი და გადასახლებულნი; ამავე საშუალებით ეკლესია გამოისყიდდა ხოლმე ტყვეებს, მარხავდა ღარიბებს და შიმშილობის ან ომიანობის დროს შორეულ ეკლესიებსაც დახმარებას უწევდა. ასეთი იყო „საეკლესიო ქონება" რომლის განკარგულება საეკლესიო იერარქიის ხელში იყო: მას განაგებდა მღვდელმთავარი მღვდლებისა და დიაკვნების დახარებით.

როგორც ვხედავთ, ეკლესია ამ მხრივაც სახელმწიფოსაგან საკმაოთ განსხვავებულსა და დამოკიდებელს ორგანიზმს წარმოადგენდა.

**ერისგანი.**

(შემდეგი იქნება)

ლოვნებას ძვირფასი განძით ერთხელ კიდევ გაამდიდრებენ.

◆ **ომში მოკლული.** დასავლეთ ფრონტზე ბრძოლაში მოკლულ იქმნა პოდპორუჩიკი ვალერიან გამყრელიძე.

◆ **სანოვაგე.** 28 მაისს მოტანილია ფქვილი 16 ვაგ., ბრინჯი 1 ვაგ., ბალი 1 ვაგ., ქერი 3 ვაგ., თივა 1 ვაგ., ნახერხი 1 ვაგ., შეშა 13 ვაგ., ნავთი 4 ვაგ., ქვის ნახშირი 2 ვაგ., რკინეულობა 1 ვაგ., ფხვიერი შაქარი 12 ფუთი, ჩაი 96 ფუთი, სპიჩქა 311 ფ., ქარტოფილი 60 ფ., კომბოსტო 49 ფუთი, კვერცხი 135 ფ., ახალი თევზი 101 ფ., ქონი 334 ფუთი.

◆ **კრება ქართველ სტუდენტებისა.** კვირას, 31 მაისს, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის ფოიეში დანიშნულია ქართველ სტუდენტების კრება, რომელიც განიხილავს დარბეულ აჭარლებისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა ქართველ ახალს და ძველ სტუდენტებს დაესწრნენ კრებას, რადგან ეს კრება უკანასკნელი იქნება.

## ხოშატიანი.

გმირები ეგრეზ და ძმა მისი ხოშატ იყვნენ კახელები, სოფელ გავაზიდან. მათი სასპარეზო, როგორც გადმოგვცემს მოხუცი მ. ჭავჭავაძე, *) ყოფილა კაბალი, და ის მისადევარი, სადაც დღეს არის საყდარი ხოშატიანი ციხე-სიმაგრითა და სხვა ნანგრევებით. დღეს აქ იმერეთიდან გადმოსახლებულ ქართველების სოფელია. იქაურთაგანმა გვიამბო, ციხის გალავანი სისქით იქნებაო 2—3 ალაბამდე, ხოლო სიმაღლით ოთხიოდე საჟენამდეო. კარები აქვსო უჩვეულებრივოდ ფართო. ციხე-სიმაგრის ეზო იმხელაა, რომ იტევსო დიდძალ ხალხს, რომელიც ყოველ წლივ აქ მართავს დღეობას, ჰიდაობას, თვით ციხის წინ არისო ვრცელი ტბა, სადაც ბუდობსო გარეული ბატი, იხვი და სხვ. აქაურ მიდამოს მთები დღესაც იწონებიანო ეგრეზიანად.

როდესაც ცხოვრობდნენო ძმები ეგრეზ და ხოშატ, მაშინ „ზღვის ტვირთებითა ტალღებით მთანი და კლდენი გაიყო"-ო. ეპოქა იყო დევების—ვეშაპებისა. მეტად უზარმაზარი და საშიშარი იყოო ერთი ვეშაპი. იგი იყოო მთის ტოლა, პირიდგან ცეცხლი სცვიოდაო და ამ ცეცხლისაგან მთა-ბარს ალმური ასდიოდაო. იგი თავზარს სცემდაო ქვეყნიერებას.

„იმ გველაშაპის მოსვლის დროს
ცა მაიბრუნდის ჯანყითა,
ღრუბლები დაშავდებოდა,
წვიმებს იწყობდა წარღვნითა.
ცოტა ხანს გადიშუქებდა
ხეების ტოკვა-ქანვითა,
საზარლად გამაიქუხის
ვეშაპმა გულის ფხანვითა...
ხალხსა ჰყლაპავდა, საქონელს,
დიდ ტბასთან ქონდა ბინაო.
იმის ელდამ და შახედვამ
ალარავინ დააძინაო".

გაჭირდა ცხოვრება. შეიძრა ხალხი. შეწუხდა მეფე. ტბის პირას გველ-ვეშაპის დასაღუპად დაარწყვეს თილისმები. მაგრამ ბუმბერაზი ვეშაპი უფრო გაარსდა (გაცეცხლდა. გაბრაზდა), დააბრიალა კალოს ოდენა თვალები, შემოუტია მეთილისმეებს და იმ არე-მარეს ყველა დაყლაპა. ამით რომ არ ეშველა ქვეყანას, მეფეს მოაგონდნენ ეგრეზი და ხოშატი, ეს დევ-გმირები, რომელთაც ვიგრის ტყავი ეცვათ და მშვილდ-ისრის მართვაში ტოლები არა ჰყავნდათ. დაიბარა ეგრეზი. მან მოახსენა: მეც მინდოდა მოკვლა, მაგრამ ვერ შევბედე. მიჰმართეთ ჩემს ძმას ხოშატს. თუ მოჰკლავს მტერს, ის მოჰკლავს. ის მე მჯობია ბრძოლაში და ჩემზე მაგარია გულითა.

იბარებს მეფე ხოშატს. მოდის გმირი. ის „არის ჩაჩქანში, დევ-გმირსა მიეგვანეს". მეფე ჰთხოვს შველას, ქვეყნის ხსნას საზარელ მტრისაგან. ხოშატი თანხმდება. თაინათ (უთუოთ) მოვკლავ, თუ ამიშენებთ ფართო კარებიან სანგალს ტბის პირას და მომირეკავთო თორმეტ-ულელა ბულა კამეჩს.

მეფეს მჭმუნვარება ექარვება და სიხარულით უსრულებს დავალებულს.

ციხე-გალავნის ფართე კარებს უკან იმალება ხოშატი. კარების წინ ბულა კამეჩების ბაკია. ხოშატი ეთხოვება ყველას. მეფეს ეუბნება: მართალია დევ-ვეშაპს მოვკლავ, მაგრამ მეც აქვე მოვკვდები. ნუ დამივიწყებ, დამიტირე, აქვე დამმარხე და საფლავზე საყდარი დამიდგი. მეფე ცრემლი თიხოშება. ეხვევა, ეთხოვება. ეგრეზი შორი-ახლო იმალება და სწუხს, რომ ძმა მალე დაეღუპება...

ხოშატი „იმზადებს მამაც თავსაო,
ისწორებს ულვაშს შავსაო"

აგერ ქვეყნად გამოჩნდა მზისა ბრწყინვალე სხივები. უცებ მოისმა ქუხილი. მთებმა დაიგრიალეს. დაიძრა დევ-ვეშაპი. ასტყდა საშინელი ქარიშხალი. მოვიდა ტყვიასავით გაუმაძღარი, დაეცა კამეჩობას და დაყლაპა. მოეჩვენა ხოშატი. მისკენ გაექანა, მაგრამ კარებში გაეჩარა. ხოშატმა დასცა ხმალი და თავი გაუპო ყბამდინა. წივის, გაჰკივის ვეშაპი. ჰკუწავს და ჰკუწავს ხოშატი ბილწს, „უშენს ცულს, ძვლებსა ულეწავს მკვიდრათა". გადმოსდის რუებრ სისხლი და სამას კალოს ოდენა ადგილს სისხლის ტბა დგება. ბოლოს კვდება ბილწი ვეშაპი. ქვეყანა ცოცხლდება, ხარობს. მაგრამ გმირი ხოშატი მესამე დღეს სულს ლევს. მოდის მთელი ერი. მეფე დიდებულად ჰმარხავს ქვეყნისთვის თავდადებულს და საფლავზე უგებს საყდარს, რომლის ქვაზე აწერს:

„გამარჯვება და დიდება
შენს ხმალს, სისხლისა ცხებაო!
იყო მთის ტოლა ვეშაპი,
ქვეყანას აოხრებდაო...
ის მოკლა გმირმა შოშატმა..."

ეს წარწერიანი ქვა ლეკებმა წარიტაცესო, ხოლო **„ხოშატიანის"** საყდარი ეხლაც იქ არი ხმობილი, სანგალსა ჰქვიან **მინარა**, სოფლებისაგან ცნობილი".

გადმოცემა ფრიად საყურადღებოა და საჭიროა უფრო მეტი ცნობა მოგვაწოდონ როგორც თვით გადმოცემა—ლეგენდის შესახებ, ისე ციხე-სანგლის, ხოშატიანის საყდრისა და თვით კაბალას მისადევრის ნაშთებისა. ამწერლებმა არ უნდა დაივიწყონ ნაშთების სიგრძე-სიმაღლე, მასალა, რითაც აგებულია, სისქე კედლებისა და სხვ.

**მ. ჯანაშვილი.**

*) ქაბუკის ნაამბობი. ლეგენდა ზღაპრული „ხოშატ-ევრეზიანი". თბილისი 1904 წ.

### საადგილ-მამულო კომისიის მოქმედება 1914 წელს.

წარსულ წელს საადგილ-მამულო კომისია დაეხმარა და სესხი მიაშველა მამულისა და სამეურნეო ქონების შესაძენად შემდეგ სოფლებს, ამხანაგობებსა და კერძო პირებს:

1. ს. სიონის გლეხთა საზოგადოებას მამულის შესაძენად . . 200 მან.
2. თუშ-კახეთის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას სამეურნეო ქონების შესაძენად . . . 5000 მან.
3. ს. მენკალისის გლეხთა საზოგადოებას მამულის შესაძენად . 7000 მან.
4. ს. საქაშეთის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 1000 მან.
5. ს. ბარნაბიანთ კარის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად 2000 მან.
6. ს. ბოსლების გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 2000 მან.
7. ს. წალასყურის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 3000 მან.
8. ს, ყვარლის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 700 მან.
9. ზემო-გომის ამხანაგობას 1000 მან.
10. ს. ტორტიზას თავად-აზნაურთა ამხანაგობას წყალის არხის გასაყვანად . . . . 2000 მან.
11. ს. არაშენლის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 6000 მან.
12. ს. ყალამშიის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 1400 მან.
13. ს. დილმის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . 1280 მან.
14. ფშავთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . . . 2500 მან.
15. ს. ერთისის გლეხთა ამხანაგობას მამულის შესაძენად . . 1000 მან.
16. საქაშეთის მეხილეთა ამხ. 500 მან.
17. დარია დეკანოზიშვილისას აბრეშუმის ჭიის სადგ. ასაშენებლად 1300 მან.
18. თავად მალხაზ ანდრონიკაშვილს დამწვარ წისქვილის აღსადგენად 6500 მ.

სულ 44.380 მან.

ამრიგად უმთავრესი ყურადღება კომისიამ წარსულ წელს, როგორც ზემოხსენებული ცხრილი გვიჩვენებს, მიაქცია ადგილ-მამულის შეძენას. დარჩენილი სესხი კომისიას დროზე უბრუნდება. ამ გაჭირვებულ წელსაც კი უმრავლესობას თავის დროზედ შემოაქვს წინა წლებში მიღებული ფული. ნამეტნავად გლეხკაცობა ცდილობს ვადას არ გადააცილოს და თავისი მოვალეობა შესრულოს.

**დ. ვ.**

### თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური კრება.

კრება გაიხსნა 28 მაისს, საღამოს 9 ს. 20 წუთ. წაკითხულ იქმნა წინა კრების ოქმი. თავმჯდომარემ თავ. მ. ა. სუმბათაშვილმა განაცხადა, რომ წინა კრების დადგენილების თანახმად, სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. ჟურული განმარტავს საკითხს ბანკის მოგებიდან 10% გადარიცხვის შესახებ სათადარიგო თანხაშიო. ბ-ნმა გ. ჟურულმა ამ საგანზე ვრცელი მოხსენება წარუდგინა კრებას. ის ამტკიცებდა, რომ ბანკის გამგეობის წრისა და რწმუნებულთა მოქმედება ყოველ მხრივ სასარგებლოა, როგორც ბანკის კეთილდღეობისათვის, ისე თავადაზნაურთათვისო. საბუთად მოჰყავდა: 1) თავად-აზნაურობას ფულები შეენახებაო, 2) ბანკი, რომელიც თავად-აზნაურობის და თითქმის მთელი გუბერნიის მარჩენელ წყაროს წარმოადგენს კულტურ-განათლების მხრივ, გაჭირვების დროს ხელს მოიმართავს ამ თანხიდანო, 3) რადგან ბევრი მოცილე გამოუჩნდა ჩვენს ბანკს, მაგალითად, საქალაქო საკრედიტო საზოგადოებანი, ბანკმა გაცემულ სესხს $^0/_0$$^0/_0$ უნდა დააკლოს ($^1/_2$ $^0/_0$-ზე ჩამოიყვანოს სესხის სარგებელი), რაიცა პირველ ხანად ბანკის მოგებას შეამცირებს და მაშინ ზოგიერთ ფონდების შესავსებლად გადადებული ფული დაეხმარება ბანკსაო და სხ. დაახლოვებით ასეთივე აზრი გამოსთქვეს თავ. მ. ჭავჭავაძემ, ა. ყანჩელმა, დ. ფალავანდიშვილმა და სხ. თავ. დ. ჩოლოყაშვილი, რ. ა. გაბაშვილი, მ. ვ. მაჩაბელი, დ. ა. გურამიშვილი, შ. ქარუმიძე, გ. რცხილაძე და სხ. წინააღმდეგი აზრისა იყვნენ. ესენი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი აპერაციით ბანკი ვერავითარ სარგებლობას ვერ ნახავსო, თავად-აზნაურთა უფლებები-კი მცირდებაო. ასეთ მოქმედებას ბანკის წესდების მეასე მუხლის შეცვლა უნდა მოჰყვეს და ეს ერთობ სახიფათო საქმეა—ვაი თუ ამან მთელი წესდების გაშლაშინება გამოიწვიოსო. კამათი გაგრძელდა და ცხარე ხასიათი მიიღო. ბოლოს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილის წინადადებით, კრებამ აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, კ. ი. თელაშვილი, თავ. დ. ა. გურამიშვილი, რ. ა. გაბაშვილი და ვ. რ. ყიფიანი. კომისიამ ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტთან ერთად სავხებით უნდა გამოარკვიოს ეს საგანი და მოხსენება წარმოუდგინოს შემდეგ კრებას, რომელიც დანიშნულია დღეისათვის, საღ. 8 საათზე. კრება დაიშალა ღამის 1 ნახევარ საათზე.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ხილის მაზანდა.

**ამხანაგობა „ქართლი" ამით აცხადებს, რომ 26-ს მაისს თბილისის ბაზარზედ** გაიყიდა:

| | |
|---|---|
| ხენდრო | 6 მან. |
| ბალი წითელი | 7 „ |
| ბალი თეთრი | 4 „ |
| ალუბალი | 6 „ |
| ატამი | 8 „ |
| ტყემალი | 2 „ |
| კომბოსტო | 1—60 |
| **27-ს** გოგრა ბალი | 4—50 |
| თეთრი ბალი | 4 მ. |
| ალუბალი | 6—50 |
| ატამი | 9 მან. |
| ტყემალი ნამყ. | 3 „ |
| **28-ს** ალუბალი | 6 „ |
| თეთრი ბალი | 4 „ |
| ნამყენი ტყემალი | 3 „ |
| კომბოსტო | 1—20 |
| კარტოფილი 1 ხარის. | 3 მან. |
| „ 2 ხარის. | 2 „ |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სალ. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სალ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სალ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სალ. |
| № 10 ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სალ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს | 53 წ. | სალ. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სალ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ | დღ. |


**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის** პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—6

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა"**

**(„НОВАЯ РѢЧЬ".)**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—4)

**ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეურნეო და სალიტერატურო გაზეთი**

**„ახალი ქართლი"**

ფასი: ერითის წლით 5 მან., 6 თვით 3 მანეთი, სამის თვით 1 მ. 50 კ., ერთის თვით 50 კ.

ხელის მომწერამიიღება „ახალი ქართლილი"-ს კანტორაში, გორი სამეფო ქ. № 15.

მეხილეთა ამხანაგობა

**„ქართლი"**

„ქართლის" კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით"**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი**

**თანამედროვე აზრი**

გაზეთი ღირს: მთელი წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ.; ერთი თვით თბილისში—80 კაპ., თბილისს გარეთ—90 კაპ.

**ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ:** Тифлисъ, поч. ящ. 199; Евгенію Илларіоновичу Урушадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. წერილები კი უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, „Танамедрове Азри", почтов. ящ. 199.

კანტორის ადრესი: თბილისი, ბარონის ქუჩა, № 15.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სახალხო ფურცელი"**

სურათებიანი დამატებით

**1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.**

**რედაქციის მისამართი:** სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი. **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели". поч. ящ. 190.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„სამშობლო"**

(გამოდის ქუთაისში)

ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით

**გაზეთი ღირს:**

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე


ისრაფ-ბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, ბოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან